პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი

17.03.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი – დამოუკიდებელი კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ირაკლი ბაიდაშვილი – საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის ვიცე- პრეზიდენტი და ხაზინადარი, GMT Group-ის ვიცე-პრეზიდენტი, საბჭოს სხდომის მდივანი (შემდგომში - მდივანი);
მაია ჩიხლაძე – ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს ,,საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია – სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
ირაკლი პეტრიაშვილი – ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი – პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
თამარ მახარაშვილი - დირექტორის მოადგილე;
კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის ვიზიტების უზრუნველყოფის სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
ნინო ხითარიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარების კოორდინატორი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის წარმომადგენლები:
ნინო ბერძენიშვილი - დირექტორი;
მარიამ ხელაშვილი - დირექტორის თანაშემწე;
ზვიად არძენაძე - დირექტორის მოადგილე;
ანა ტოროტაძე - თანამშრომელი.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "XXI საუკუნის" წარმომადგენლები:
ზურაბ აბაშიძე - დირექტორი;
ხათუნა ხურცილავა - კანცელარიის უფროსი.

შპს დავით აღმაშენებლის აკადემიის წარმომადგენელი:
ნანა ჯიქია - რექტორი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
მაყვალა დარსანია;
ნანა ბარნაბიშვილი;
ნინო ფეტვიაშვილი;
მაია დანელია;
პეტრე ბაბილუა;
ქეთევან ჯანელიძე;
ციური დურული;
ეკა ლუაშვილი;
შორენა ჯაფარიძე.

სხვა დამსწრე პირები:
ნათია გიორგობიანი - მოქალაქე;
გიორგი ბერაია - ა(ა)იპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი;
დანიელ დავითაშვილი - პროფესიული განათლების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე;
მარინა გოგოლაძე - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ხარისხის მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დაიწყო 15:15 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა კახაბერ ერაძემ საბჭოს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა შუამდგომლობით, რომ საბჭოს სხდომის ოქმის მომზადების მიზნებისათვის განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა, ხოლო ჩანაწერი განადგურდებოდა (წაიშლებოდა) ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა, რომელსაც თავიდანვე ესწრებოდა ყველა პირი, დაეთანხმა აღნიშნულს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "XXI საუკუნის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა
3. შპს პანაცეაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. შპს დავით აღმაშენებლის აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - მაყვალა დარსანიამ და ნანა ბარნაბიშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იმყოფებოდნენ ავტორიზაციის ვიზიტით და შესაბამისად მათ მიერ შემოწმდა სამივე სტანდარტი. საზოგადოებრივი კოლეჯი ელიტი მდებარეობს ქალაქ ქუთაისში და ქალაქ მარნეულში აქვს წარმომადგენლობა, სადაც განხორციელდა ვიზიტი. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას ავტორიზაცია აქვს 2015 წლიდან და შედეგად, დაწესებულების განაცხადში მითითებული საგნობრივი პროგრამები (პრაქტიკოსი ექთანი, ფარმაცევტის თანაშემწე, ექთნის თანაშემწე, მასაჟისტი, კბილის ტექნიკოსი, ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი), ბუღალტერი, ინფორმაციული ტექნოლოგი) უკვე ავტორიზებული იყო, ავტორიზაციის სამივე სტანდარტი შემოწმდა.

ექსპერტების განმარტებით, 2015 წელს ავტორიზაციის მიღებისას საბჭოზე წამოიჭრა საკითხი პროგრამების მოცულობის არაგონივრულად გაზრდის შესახებ. ინფორმაციული ტექნოლოგის პროგრამის მოცულობა დაწესებულებამ საბჭოს სხდომის შემდეგ შეამცირა. შესაბამისად 60 კრედიტის ნაცვლად 42 კრედიტამდე და ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტაციაც არსებობს. მნიშვნელოვანი ხარვეზები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა ვიზიტის დროს. ერთადერთი რეკომენდაცია იყო კატალოგთან დაკავშირებით. კატალოგი იყო ძალიან გადატვირთული და მიეცათ რეკომენდაცია, სტანდარტებთან შესაბამისობაში მოეყვანათ. დაწესებულებამ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა რედაქტირებული კატალოგი.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შემოწმდა და მისი მდგომარეობა დასკვნაში შესაბამისად ასახულია აუდიტორიების მიხედვით.

ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა. ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც ქალაქ მარნეულის წარმომადგენლობაშია, არის ადგილობრივი, ერთი მასწავლებლის გარდა.

საქმისწარმოება ცენტრალიზებულია და ელექტრონული. ვებ გვერდი ფუნქციონირებს გამართულად. სილაბუსებში მოცემული სახელმძღვანელოები შერჩევითობის პრინციპით შეირჩა და გადამოწმდა ბიბლიოთეკაში და დადასტურდა მათი არსებობა ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა ქ. თბილისში არსებულ აფთიაქ ''კრწანისის'' წარმომადგენლობასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე როგორ მოხერხდებოდა სტუდენტების პრაქტიკით უზრუნველყოფა. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის დირექტორმა, ნინო ბერძენიშვილმა განმარტა, რომ მემორანდუმები გაფორმებულია ადგილობრივ აფთიაქებთანაც. ყველაფერს სწავლობენ პრაქტიკის ადგილობრივ ობიექტებზე. თუმცა პრაქტიკულ კომპონენტში რამდენიმე საათი აქვს დათმობილი წამლის დამზადების ტექნოლოგიის სწავლებას, რასაც ადგილობრივი აფთიაქები ვერ უზრუნველყოფენ და ამიტომ დადგა საჭიროება ქ. თბილისში მემორანდუმის გაფორმებისა.

ექსპერტთა განმარტებით, ისინი იმყოფებოდნენ პრაქტიკის სამ ბაზაზე, ორი იყო აფთიაქი (ქ. მარნეულში) და ერთი სტომატოლოგიური კლინიკა.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა ფერიცვალების დედათა მონასტერთან დადებული მემორანდუმით. დაწესებულების განმარტებით აქაც მსგავსი საკითხი იდგა: პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის პალიატიური მოვლის მოდულის პრაქტიკის გავლას კოლეჯის სტუდენტები მხოლოდ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის ბაზაზე შეძლებდნენ.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა საგნობრივი პროგრამები დასრულდებოდა თუ არა 2019 წლის პირველ იანვრამდე. დაწესებულებამ განმარტა, რომ ყველაზე ხანგრძლივი პროგრამაც კი დასრულდებოდა დარჩენილ პერიოდში.

ირაკლი ბაიდაშვილი დაინტერესდა სასწავლო ფართის ფლობის ქვეიჯარის ხელშეკრულებით. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის დირექტორის მოადგილემ ზვიად არძენაძემ განმარტა, რომ არსებობს მეწარმეობის განვითარების ცენტრი, რომელთანაც გაფორმებულია 6 წლიანი იჯარა. მეწარმეობის განვითარების ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი ამავდროულად არის ფართის მესაკუთრე.

თავმჯდომარე დაინტერესდა კვოტასთან დაკავშირებული საკითხით.

ზვიად არძენაძემ განაცხადა, რომ მათ სურდათ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 524 ადგილით, აქედან ქ. მარნეულის წარმომადგენლობაში 274 სტუდენტით (რომელშიც შედის ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მოდულური პროგრამისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (34 სტუდენტი) ქ. მარნეულის მისამართზე).

ექსპერტებმა სასწავლო ფართის გათვალისწინებით აღნიშნეს, რომ ქ. მარნეულის წარმომადგენლობაში ერთ ცვლაში შესაძლებელია 152 სტუდენტის მიღება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტისათვის ქ. მარნეულში, რუსთაველის ქ. N15-ში მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებისა და შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 524-ით განსაზღვრის საკითხი, მათ შორის 274-ით ქ. მარნეულში.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406129602) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტს

მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროგრამები დამატებით ქ. მარნეულში რუსთაველის ქ. №15-ში და შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 524 -ით, მათ შორის 274-ით ქ. მარნეულში.

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №15
2	ფარმაცევტის თანაშემწე	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №15
3	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №15
4	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	64	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №15
5	კბილის ტექნიკოსი	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	68	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №15
6	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	62	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №15
7	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ ბუღალტერ-მოანგარიშე	30	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №15
8	ინფორმაციული ტექნოლოგი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	42	ქართული	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №15

2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "XXI საუკუნის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნინო ფეტვიაშვილმა, მაია დანელიამ და პეტრე ბაბილუამ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იმყოფებოდნენ ავტორიზაციის ვიზიტით და შესაბამისად მათ მიერ შემოწმდა სამივე სტანდარტი.

დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადში წარმოადგინა 6 საგნობრივი და ერთი მოდულური პროგრამა.

1. ტურიზმის ოპერატორი - მესამე საფეხური (საგნობრივი)
2. ბუღალტერი - მესამე საფეხური (საგნობრივი)
3. ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) - მესამე საფეხური (საგნობრივი)
4. კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) - მესამე საფეხური (საგნობრივი)
5. ინფორმაციული ტექნოლოგი - მესამე საფეხური (საგნობრივი)
6. ფარმაცევტის თანაშემწე - მეხუთე საფეხური (საგნობრივი)
7. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი - მეხუთე საფეხური (მოდულური)

ექსპერტებმა დააფიქსირეს შემდეგი ხარვეზები:

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამის ,,ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი'' მოდულები არ იყო ადაპტირებული, ცვლილება განხორციელდა ვიზიტის პერიოდში. არჩევითი მოდულის ,,კომპოზიციის ძირითადი პრინციპები'', შესაბამისი C ტიპის აუდიტორია და რესურსი დაწესებულებას არ ჰქონდა, ამიტომ გადაწყვეტილება მიიღეს და ჩაანაცვლეს აღნიშნული მოდული რუსული ენის მოდულით. შესაბამისად, მოხდა სასწავლო გეგმის და ადამიანური რესურსის ცვლილება.

- ინფორმაციული ტექნოლოგის გარდა, სხვა დანარჩენ საგნობრივ პროგრამებში სწავლის შედეგების რუკაში, სასწავლო პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკა გადიოდა ცოდნის და გაცნობიერების შედეგზე, რაც სასწავლო კურსების მიზანს არ წარმოადგენდა. ამდენად, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების'' მე-6 მუხლის ,,გ'' ქვეპუნქტის მოთხოვნები. დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზი ტექნიკური შეცდომით აიხსნება და უკვე გამოსწორებულია.

- ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულად არ იყო მითითებული, რაც ჩაითვალა ტექნიკურ ხარვეზად და გასწორდა ადგილზე. ამავე პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად მათ გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმი კომპანიასთან ,, აღმოაჩინე საქართველო '', მაგრამ მემორანდუმის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე არ ჩანდა საწარმოო და სასწავლო პრაქტიკის გავლის თვალსაზრისით კომპანიის მზაობა. დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ დადებულია ახალი ხელშეკრულება, რომლითაც აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია.

- ოფისის მენეჯერის პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად ხელშეკრულება იყო გაფორმებული სკოლა-გიმნაზია პირველთან. თუმცა მხარემ უარი თქვა ამ კომპონენტის განხორციელებაზე და შესაბამისად ეს პროგრამა დარჩა პრაქტიკის ობიექტის გარეშე.

- ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები. მოინახულებს ბაგა-ბაღი ,,ვინი'', რომელიც განთავსებული იყო საცხოვრებელ კორპუსში, ერთ-ერთ ბინაში. ექსპერტების აზრით, გაცნობითი პრაქტიკა მხოლოდ 4-5 სტუდენტისათვის იქნება ხელმისაწვდომი ერთდროულად. საწარმოო პრაქტიკის აღნიშნულ დაწესებულებაში განხორციელება შეუძლებელია, ამდენად პროგრამით განსაზღვრული კრედიტების სრულად მინიჭება ვერ განხორციელდება და კვალიფიკაციის მინიჭება რისკის ქვეშ დგება

- ინფორმაციული ტექნოლოგის საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ 4-5 სტუდენტისათვის.

- ვებ გვერდზე განთავსებულია კატალოგი, რომელშიც, მიუხედავად იმისა რომ განახლებადია, ჩარჩენილია პროგრამები, რომლებსაც არ ახორციელებენ და მოძველებულია, მაგ: ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროგრამა, ტუროპერატორის მეოთხე საფეხურის პროგრამა და ა. შ. რაც დამაბნეველია სტუდენტისათვის.

- დაწესებულებას შემუშავებული აქვს, პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. შეფასების ციკლი და ეტაპები დოკუმენტურად აღწერილია, მაგრამ ვერ მოხერხდა დასაბუთება, რომ მუშაობა მიმდინარეობდა ამ მიმართულებით დაწესებულების ფუნქციონირების მანძილზე. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ანგარიში და ანალიზი. ამდენად, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-6 მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტის მოთხოვნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზემოთხსენებული ადმინისტრაციული პერსონალის შემადგენლობის ცვლილებებით განმარტა.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

- ექსპერტების განმარტებით, არ ჩანს ბმა გრძელვადიან ექვსწლიან და ერთწლიან გეგმებსა და დაწესებულების მისიას შორის. მაშინ, როცა გრძელვადიანი ექვსწლიანი და ერთწლიანი გეგმები უნდა გამომდინარეობდეს დაწესებულების მისიიდან და მისიიდან გამომდინარე იგეგმებოდეს სტრატეგიული მიზნები და შესაბამისი ამოცანები/აქტივობები. კოლეჯის მისიაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე, თუმცა შესაბამისი ამოცანები/აქტივობები

გეგმებში არ ფიქსირდება. ამდენად, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-7 მუხლის ,,ი" ქვეპუნქტის მოთხოვნები.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯს ჰყავს 26 მასწავლებელი და 7 ადმინისტრაციული თანამშრომელი. შრომით ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მოთხოვნები. კერძოდ: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, ანაზღაურებით და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი. ამდენად, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-8 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტის მოთხოვნები. ექსპერტებმა მისცეს რეკომენდაცია, ან შესაბამისად დაეკორექტირებინათ ხელშეკრულებები ან ყველასთვის ერთიანად გაეცნოთ აღნიშნული თემა.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "XXI საუკუნის" წარმომადგენელს.

დირექტორმა ზურაბ აბაშიძემ განმარტა, რომ ტუროპერატორის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით პრაქტიკის ობიექტებთან არანაირი პრობლემა არ არსებობს, დადებულია ხელშეკრულებები, თუმცა საბჭოზე არ წარუდგენია.

დირექტორმა ზურაბ აბაშიძემ დაადასტურა ოფისის მენეჯერის პროფესიული პროგრამის პრაქტიკის ობიექტმა უარი განაცხადა თანამშრომლობაზე და საბჭოს წარუდგინა ახალი ხელშეკრულება.

დაადასტურა, რომ ოფისის მენეჯერის პროფესიული პროგრამის პრაქტიკის ობიექტმა უარი განაცხადა თანამშრომლობაზე და საბჭოს წარუდგინა ახალი ხელშეკრულება.

ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ დადეს ხელშეკრულება ბრიტანულ-ქართულ ბაღთან. რომელიც თბილისში 5 ადგილას ფუნქციონირებს. რადგან აქამდე არსებული ხელშეკრულება ვერ უზრუნველყოფდა პრაქტიკის განხორციელებას სრულყოფილად, ვიზიტის შემდეგ დაიდო ახალი ხელშეკრულება.

მამუკა ჯანჯალიას მოსაზრებით, თუ ბრიტანულ-ქართულ ბაღში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე, ჩნდება კითხვა, რამდენად მოახერხებენ კოლეჯის სტუდენტები ინგლისურ ენაზე პრაქტიკის გავლას. ზურაბ აბაშიძემ განმარტა, რომ პრაქტიკის ობიექტზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ხოლო ინგლისური ენა ისწავლება გაძლიერებულად.

თავმჯდომარემ იკითხა ოფისის მენეჯერის პროგრამის პრაქტიკაზე ერთდროულად რამდენ სტუდენტს უშვებდნენ დაწესებულებიდან. დირექტორის განმარტებით 6-7 სტუდენტს.

საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ დასკვნის ყოველ ნაწილში თითოეულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტების აზრი იყო დაფიქსირებული სტანდარტის დარღვევა/არ დარღვევასთან დაკავშირებით და მოიწონა აღნიშნული სიახლე. აქვე შენიშნა, რომ საბჭოს წევრებს აქვთ უფლება არ გაიზიარონ მათი მოსაზრება, რადგან ამ შემთხვევაში აღნიშნული ხარვეზებიდან გამომდინარე ექსპერტთა შეფასებები უსაფუძვლოა. მაგალითად, ვებ გვერდთან დაკავშირებული ინფორმაცია ექსპერტთა მოსაზრებით შეესაბამება სტანდარტს, რასაც მაია ჩიხლაძე არ იზიარებდა. ექსპერტებმა განუმარტეს საბჭოს, რომ საიტი ფუნქციონირებს გამართულად და არის განახლებადი. მოძველებული

ინფორმაცია იყო შემორჩენილი მხოლოდ კატალოგში. მისი ჩანაცვლება პრობლემა არაა და ამიტომ ექსპერტებმა არ ჩათვალეს სტანდარტის დარღვევად.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო ფართში შედის შვიდი აუდიტორია, სადაც გამიჯნულია მოდულური და საგნობრივი პროგრამების განხორციელებისთვის სასწავლო გარემო. საერთო აქვთ კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია 10 კომპიუტერი. ჯამში შესაძლებელია 92 პროფესიული სტუდენტის მიღება ერთ ცვლაში. აქედან, მოდულური პროგრამისთვის, A გარემოს გათვალისწინებით, შესაძლებელია 20 პროფესიული სტუდენტის მიღება ერთ ცვლაში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "XXI საუკუნის" ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

რადგან დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-6 მუხლის ,,ა", ,,გ" და ,,ვ" ქვეპუნქტების, მე-7 მუხლის ,,ი" ქვეპუნქტის და მე-8 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტის მოთხოვნები, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "XXI საუკუნეს" (ს/კ: 404925328) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

3. შპს პანაცეაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა კახაბერ ერაძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, შპს პანაცეას მიერ ცენტრში წარმოდგენილი განცხადების შესახებ (N249383, 16.03.2017), რითაც კოლეჯმა ცენტრს აცნობა საკუთარი სურვილით ფუნქციონირების შეწყვეტის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ქეთევან ჯანელიძემ და ციური დურულმა.

ექსპერტები იმყოფებოდნენ მონიტორინგის ვიზიტით შპს პანაცეაში. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ შემოწმდა ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით, მატერიალური რესურსის შესაბამისობა სტანდარტთან.

ექსპერტების თქმით, შენობა იყო ბნელი. ფართში იყო ერთი აუდიტორია, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალისთვის სამი მცირე ზომის ოთახი, დანარჩენი ფართი იყო სასაწყობედ გამოყენებული.

საბჭოს წევრი მამია ჯანჯალია დაინტერესდა, იყო თუ არა მოწყობილი ადაპტირებული გარემო სსსმ და შშმ პირებისთვის. ექსპერტებმა დაამოწმეს, რომ მოწყობილი იყო პანდუსი, თუმცა ეტლით მოსარგებლე პირებისთვის არ იყო ადაპტირებული სველი წერტილი და დაწესებულების არცერთი კარი არ იყო შესაბამისი ზომის. გარდა ამისა არ იყო გამიჯნული ქალისა და მამაკაცის განყოფილება სველ წერტილში.

ექსპერტებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს დასკვნაში მოცემული ინვენტარის ნუსხის შესახებ, რომ მათი ფლობა ვერ დადასტურდა საინვენტარო წიგნით ან რაიმე სხვა ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ბუღალტერი განთავისუფლებული იყო თანამდებობიდან.

სილაბუსებიდან შერჩევითობის პრინციპით 30 წიგნი იქნა შემოწმებული ბიბლიოთეკაში. ექსპერტებს თავად მოუწიათ წიგნების მოძიება, რადგან ბიბლიოთეკარი განთავისუფლებული იყო თანამდებობიდან. მათ მიერ შემოწმებული ყველა წიგნი საბიბლიოთეკო წესით იყო რეგისტრირებული. საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის წესი გამოკრული არ იყო ბიბლიოთეკაში.

საბჭოს წევრებს გაუჩნდათ კითხვა, დაწესებულების წარმომადგენელს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა დაწესებულების ფუნქციონირების შეწყვეტა, თუ ექსპერტთა ვიზიტის დროს გადაწყვიტა. ექსპერტების განმარტებით დაწესებულების წარმომადგენელი ამბობდა, რომ ავტორიზაციის ვადის გასვლის შემდგომ არ აპირებდა საგანმანათლებლო საქმიანობის გაგრძელებას. აქვე აღნიშნეს, რომ მათ დაწესებულებაში დახვდათ 4 სტუდენტი. მიუხედავად იმისა, რომ მათი ვიზიტის მიზნებს აღემატებოდა, ექსპერტები დაინტერესდნენ და აღმოაჩინეს, რომ ეს სტუდენტები არ ფიქსირდებოდნენ რეესტრში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პანაცეასათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს პანაცეას (ს/კ: 417877284) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

4. შპს დავით აღმაშენებლის აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ეკა ლუაშვილმა და შორენა ჯაფარიძემ.

ექსპერტები იმყოფებოდნენ მონიტორინგის ვიზიტით შპს დავით აღმაშენებლის აკადემიაში. მათ განაცხადეს, რომ ვიზიტის მიზანი იყო არა კონკრეტული დოკუმენტების შემოწმება, არამედ ავტორიზაციის მინიჭების დროს არსებული დოკუმენტების იმპლემენტაციის, რეალიზაციის და შინაარსის შემოწმება. მათი შეფასებით დასკვნა უარყოფითია. დარღვეულია სტანდარტის არა მხოლოდ რომელიმე ქვესტანდარტი, არამედ ზედმიწევნით, ერთმანეთის მიყოლებით, სამივე სტანდარტის ყველა ქვესტანდარტი. ექსპერტების განმარტებით, მათ ვერ შეძლეს დაწესებულებისთვის განმავითარებელი რეკომენდაციების მიცემა, როგორც ეს სხვა შემთხვევებში მომხდარა, რადგან დარღვევები შინაარსობრივი ხასიათის იყო. ფაქტობრივად დაწესებულებაში არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი.

დაწესებულებამ 2013 წელს ავტორიზაცია მიიღო სხვა ფართზე. ავტორიზაციის მინიჭების დროს მოხდა ინსტიტუციურ დონეზე დოკუმენტების დადასტურება სტანდარტების მოთხოვნებთან. 2015 წლის დეკემბერში მოხდა ფართის ცვლილება და ამ ახალ მისამართზე ვერ მოხერხდა იდენტიფიკაცია, არსებული ფართიდან რომელი ნაწილით სარგებლობის უფლება ჰქონდა დაწესებულებას სასწავლო პროცესის განსახორციელებლად.

ექსპერტთა შეფასებით სტანდარტი დარღვეულია სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურებთან, სწავლის პროცესთან და შეფასებასთან დაკავშირებით. სტუდენტები იმყოფებოდნენ ვიზიტის დროს, თუმცა სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა. ვიზიტის დროს დაწესებულებაში არდადეგები იყო. მაგრამ ექსპერტთა დასკვნაშიც აღნიშნულია, რომ მიმდინარეობდა საგამოცდო პროცესი.

ექსპერტების მტკიცებით დაწესებულების წარმომადგენელმა ისინი განათავსა იმ ოთახში , რომლის სარგებლობის უფლება ოფიციალურად მას არ ჰქონდა. აღნიშნულ ოთახში მანამდე იმყოფებოდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც რექტორის განმარტებით ჰქონდათ ინგლისურის გამოცდა. სტუდენტებთან გასაუბრებისას, უმეტესობა ვერ ასახელებდა რომელ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობდა. სულ ხუთმა სტუდენტმა, მათ შორის ერთმა არასრულწლოვანმა, დაასახელა პროგრამა, თუმცა ისიც არასრულფასოვნად. კითხვაზე, როდის ჩაირიცხა და რამდენ ხანს უნდა ესწავლა, ერთ-ერთი სტუდენტის თქმით 3 წელი აქვს კიდევ დარჩენილი, მაშინ როცა, საუბარია 45 კრედიტიან პროგრამაზე. იგივე კითხვაზე მეორე სტუდენტმა უპასუხა, რომ სწავლობს ერთი წელი და კიდევ დარჩენილი აქვს 3 წელი. სტუდენტებს ჰკითხეს, კიდევ რამდენი გამოცდა ჰქონდათ ჩასაბარებელი, რაზეც მათ პასუხი არ ჰქონდათ.

თავმჯდომარე დაინტერესდა სწავლის საფასურით. ექსპერტებმა განმარტეს, რომ ხელშეკრულებებში პირველად შენატანად რიგ შემთხვევაში 1500 დოლარია მითითებული და რიგ შემთხვევებში 1500 ლარი. თუმცა არ ფიქსირდება პირველადი შენატანის განმარტება და სწავლის სრული საფასური.

თავმჯდომარემ ჰკითხა რა ღირს სწავლა შპს დავით აღმაშენებლის აკადემიაში და რას ნიშნავდა ექსპერტების მიერ ხსენებული პირველადი შენატანი.

აკადემიის რექტორის განმარტებით ქართველებისთვის 1500 ლარი და უცხოელებისთვის 1500 დოლარი.

მამია ჯანჯალიამ იკითხა, როგორ ახსნიდა რექტორი 45 კრედიტიანი პროგრამის 3 წლიან ხანგრძლიობას, რაც რექტორმა უარყო და თქვა, რომ სტუდენტთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე ის პასუხისმგებელი არაა და აკადემიის ვებ- გვერდზე არსებულ საჯარო ინფორმაციაზე მიუთითა საბჭოს.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

შპს დავით აღმაშენებლის აკადემიის რექტორმა განმარტა, რომ აკადემია ავტორიზებული სასწავლებელია, რომელმაც ინგლისურენოვანი პროგრამა დაიმატა 2015 წლის დეკემბერში. შესაბამისად განხორციელებული ვიზიტის დროისათვის ყველაფერი წესრიგში იყო. დაწესებულება იძულებული გახდა ფართი შეეცვალა. იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა 400 კვ. მ ფართზე და ვიზიტი განხორციელდა მაშინ, როცა მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები აღნიშნულ ფართში. რექტორმა განაცხადა, რომ ცენტრს შეატყობინა, მისამართის შეცვლისა და ახალ სასწავლო ფართში სასწავლო პროცესის პირველი მარტიდან განახლების შესახებ. მონიტორინგი განხორციელდა 22-23 თებერვალს. შესაბამისად, გადასვლის სამუშაოები და სარემონტო სამუშაოები ისევ მიმდინარეობდა ვიზიტის პერიოდისთვის. დოკუმენტაცია განთავსებული იყო სხვადასხვა ოთახში და შესაბამისად ამ ორი დღის განმავლობაში ვერ ხდებოდა სათანადო დოკუმენტების მოძიება. ვიზიტის დასრულების შემდეგ ბევრი დოკუმენტი იქნა მოძიებული. მისი განმარტებით ამ დროისათვის სასწავლო პროცესი მიმდინარეობს და ხარვეზების ნაწილი გამოსწორდა საბჭოს სხდომამდე. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორმა ნინო სტეფანიშვილმა შენიშნა, რომ ნანა ჯიქიამ მას შემდეგ ამცნო ცენტრს ფართის ცვლილების თაობაზე, რაც ვიზიტის წინა დღეს, მას დაუკავშირდნენ ცენტრიდან და შეატყობინეს მონიტორინგის დაგეგმილი ვიზიტის შესახებ.

რექტორმა განმარტა რამ გამოიწვია ექსპერტების მიერ დასკვნაში აღნიშნული ხარვეზები: ერთი წლის განმავლობაში დაწესებულებას უწევდა მძიმე სიტუაციაში ფუნქციონირება. დაწესებულების ერთ-ერთი დამფუძნებელი ერაყელი პიროვნებაა, რომლის სურვილით და ინიციატივით მოხდა უცხოენოვანი პროგრამის დამატება. მან ერაყიდან ჩამოიყვანა სტუდენტები, რომლებიც, რექტორის განმარტებით, ყოველგვარი სამართლებრივი წესების დაცვით ჩაირიცხნენ აკადემიაში, მოსამზადებელ კურსზე. უცხოენოვან პროგრამაზე ამის შემდგომ მოხდა მათი ჩარიცხვა თებერვალში. აღმოჩნდა, რომ დამფუძნებელმა ისინი ჩამოიყვანა მოტყუებით და გამოსძალა სერიოზული თანხა.

მარტიდან დაიწყო დავა დამფუძნებელსა და აღნიშნულ სტუდენტებს შორის სათანადო ორგანოების მეშვეობით. საგამოძიებო ორგანოები დაინტერესდნენ დაწესებულების საქმიანობით და საბუთებს შვიდი თვის განმავლობაში იკვლევდნენ. აღმოჩნდა რომ დამფუძნებელს თანხა სტუდენტებისაგან აღებული ჰქონდა ერაყში და შესაბამისად საგამოძიებო საქმე გადაიგზავნა დანაშაულის ჩადენის ადგილას. გამოძიებამ დაადგინა, რომ აკადემია კავშირში არ იყო აღნიშნულ დანაშაულთან. რექტორის მტკიცებით ამ პროცესებმა დააზარალა სასწავლო პროცესი. საბოლოოდ დამფუძნებელს ჩამოერთვა ხუთწლიანი ბინადრობის უფლება. ხოლო აღნიშნული სტუდენტები ლტოლვილის სტატუსით ჰყავდა ჩამოყვანილი და შესაბამისად მათ სტუდენტური ბინადრობის უფლება ვერ მიენიჭათ.

ირაკლი პეტრიაშვილმა იკითხა სად იმყოფებოდნენ აღნიშნული ერაყელი სტუდენტები ამჟამად. ნანა ჯიქიას ინფორმაციით ისინი იმყოფებიან საქართველოში ლტოლვილის სტატუსით. თავდაპირველად ჩარიცხული 6 სტუდენტიდან სამი დაბრუნდა სამშობლოში. სამი კი დარჩა საქართველოში, მაგრამ კოლეჯში სწავლას არ აგრძელებს. თუმცა ეკა ლუაშვილმა განმარტა, რომ მათ სტუდენტის სტატუსი არ აქვთ შეჩერებული ამ დრომდე. სტატუსი არ აქვს შეჩერებული არც იმ ქართველ სტუდენტს, რომელიც შეცდომით ირიცხება აღნიშნულ ინგლისურენოვან პროგრამაზე. ნანა ჯიქიამ აღნიშნული ხარვეზი საგამოძიებო პროცესებით და სტუდენტების მიერ სტატუსის შეწყვეტის თაობაზე განცხადების არ გაკეთებით განმარტა. მამია ჯანჯალიამ შენიშნა, რომ ამ შემთხვევაში, მაშინ როცა აღნიშნული სტუდენტები თვეების მანძილზე არ გამოჩენილან დაწესებულებაში, სტუდენტის სისტემატური არ დასწრება სასწავლო პროცესის მსვლელობისას უნდა აღირიცხებოდეს, რაც საფუძველია სტატუსის შეწყვეტისა და შესაბამისად უნდა რეგულირდებოდეს დაწესებულების მიერ. ექსპერტებმა დაადასტურეს, წესში ფიქსირდება რომ ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლის შემთხვევაში სტატუსი უწყდებათ სტუდენტებს.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის მიღებიდან დაახლოებით ერთ თვეში ადმინისტრაციული პერსონალის დიდი ნაწილი, რომლებიც წარმართავდნენ სასწავლო პროცესს, განთავისუფლებული იქნა დირექტორის ბრძანებით. ინგლისურენოვან პროგრამებთან მიმართებით ნათქვამია, რომ ერთი სტუდენტიც რომ ირიცხებოდეს პროგრამაზე, სასწავლო პროცესი მაინც უნდა ხორციელდებოდეს და რადგან სტუდენტებს აქტიური სტატუსი აქვთ დაწესებულება ვალდებულია განახორციელოს სასწავლო პროცესი.

ნანა ჯიქიამ განმარტა, რომ სტუდენტებმა საბუთები გაიტანეს. აღნიშნა, რომ აღიარებდა საქმისწარმოების დარღვევას. სასწავლებელში სასწავლო პროცესი არ შეწყვეტილა 25 დეკემბრამდე. 27 დეკემბრიდან დაიწყო ახალ ფართზე გადასვლის პროცესი. 20 იანვრიდან დაინიშნა გამოცდები და პირველ მარტს განახლდა სასწავლო პროცესი.

მამია ჯანჯალიამ იკითხა, თუ გაფორმდა საჭირო აქტი სასწავლო პროცესის შეწყვეტის თაობაზე, რაზეც ექსპერტებმა უპასუხეს, რომ ასეთი აქტი არ არსებობდა. ასევე, 2015 წლის შემდეგ არ წარმოებულა სტუდენტთა შეფასების არავითარი უწყისი.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა ახალ ფართზე არსებული სასწავლო გარემოს მდგომარეობით.

ექსპერტებმა განმარტეს, რომ ქირავნობის არსებული ხელშეკრულებით ისინი ფლობენ 400 კვ. მ. ფართს, რომელიც მოიცავს 9 აუდიტორიას და დიდი დარბაზის გაურკვეველ ნაწილს. ვერ მოხდა იმის იდენტიფიცირება რომელი 400 კვ. მ.-ით სარგებლობის უფლება ჰქონდა დაწესებულებას არსებული დაახლოებით 560 კვ. მ.-დან. ექსპერტებს ფართის მესაკუთრემ განუცხადა, რომ ფართის გამიჯვნა

ყოვლად დაუშვებელი იყო, რადგან დარბაზი ისტორიული მნიშვნელობისაა. რასაც ნანა ჯიქიაც ადასტურებს.

ნანა ჯიქიას განმარტებით აკადემია ახორციელებს მრავალ სოციალურ პროექტს. მაღალმთიანი რეგიონის წარმომადგენელ 7 სტუდენტს უფასოდ ასწავლის. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებმა შენიშნეს, რომ არსად ფიქსირდება რომელიმე სტუდენტის განთავისუფლება საფასურისგან.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სოციალური პროექტების განხორციელება მისასალმებელია, თუმცა საბჭო აფასებს რამდენად სრულდება ავტორიზაციით მინიჭებული ნაკისრი ვალდებულებები და რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულება ამ ეტაპზე ავტორიზაციის სტანდარტებს. აქვე შენიშნა, რომ ავტორიზაციის სამივე სტანდარტი დარღვეულია.

თავმჯდომარემ და მდივანმა შესთავაზეს დაწესებულების წარმომადგენელს თუ რაიმე ჰქონდა სათქმელი კიდევ, ბოლომდე წარედგინა თავისი არგუმენტები საბჭოსთვის.

რექტორმა განაცხადა, რომ მას სურდა ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილ ყოველ შენიშვნაზე საბჭოს მოესმინა მისი აზრი. საბჭო დაეთანხმა.

- სწავლის პირველად შენატანთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს უბრალოდ ხელშეკრულების ფორმატის გამო მოხდა. დაწესებულება სთავაზობს სტუდენტებს სწავლის საფასურის (რექტორის მტკიცებით ბრძანებითაა განსაზღვრულია 1500 ლარი ან 1500 დოლარი) ეტაპობრივი გადახდის შესაძლებლობას. თუმცა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებას წესში აქვს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სწავლის საფასური განისაზღვრება სტუდენტთა ჩარიცხვისას.
- სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის დოკუმენტი ვერ წარმოადგინა ექსპერტთა ვიზიტის დროს, რადგან მათ სასწავლო გეგმის მიხედვით არ უწევდათ პრაქტიკის გავლა. დაწესებულებამ მართალია ავტორიზაცია მიიღო 2013 წელს, შპს საზოგადოებრივი კოლეჯ რეუს სახელით, თუმცა ნანა ჯიქია განმარტავს, რომ მათ 2015 წელს შეიძინეს ორგანიზაცია და მას მერე შეუდგნენ საქმიანობას უკვე კოლეჯის ახალი დასახელებით. ამ პერიოდში მიიღეს სტუდენტები და შესაბამისად მათ ჯერ არ უწევდათ პრაქტიკის გავლა. დაადასტურა, რომ დადებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან.
- დასკვნაში დაფიქსირებულია, რომ მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მითითებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი. ნანა ჯიქიამ დაადასტურა, რომ აღნიშნული სერთიფიკატის გარეშე ჩარიცხა 7 სტუდენტი ხსენებულ პროგრამაზე, მათ შორის 4 სტუდენტი სოციალური პროექტის ფარგლებში უფასო სწავლების პირობით. მისი აზრით ეს დიდი დარღვევა არაა.
- ტურიზმის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დასახელებას. აკადემიის რექტორის განმარტებით ავტორიზაციის მიღების შემდეგ არსებული პროფესიული სტანდარტი შეიცვალა. ცვლილების განხორციელებას გეგმავდნენ მოახლოებული ხელახალი ავტორიზაციისათვის.
- კატალოგი მოიცავს მოძველებულ ინფორმაციას, კერძოდ დაწესებულების მიერ ადგილმდებარეობის, მისამართის ცვლილების შესახებ. რექტორმა განმარტა, რომ ვერ მოხერხდა ცვლილება, რადგან ვიზიტის დროს დაწესებულებაში ჯერ კიდევ არ იყო ინტერნეტთან წვდომა.

სასწავლო პროცესი იწყებოდა პირველ მარტს და მისი აზრით, არც ეს დარღვევა წარმოადგენდა დიდ პრობლემას. აქვე აღნიშნა, რომ იმ მომენტისთვისაც არ შეცვლილა კატალოგი.

- დაწესებულებამ არასრულწლოვანი აპლიკანტების განცხადებები მიიღო წარმოებაში, გამოსცა აქტი მათი ჩარიცხვის შესახებ და გააფორმა კონტრაქტი მათი კანონიერი წარმომადგენლის და მათი ხელმოწერის გარეშე. რექტორის განმარტებით, სულ სამი არასრულწლოვანი სტუდენტია ჩარიცხული აკადემიაში, რომელთა ხელშეკრულებებზე ხელი მოწერილი აქვთ მათ მშობლებს.
- რექტორი არ ეთანხმება ჩანაწერს დასკვნაში: ,,ვიზიტის პირველ დღეს დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ინგლისურენოვან ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეები არ ჩაურიცხავს'' - ეს გაუგებრობად შეაფასა. განმარტა, რომ ვიზიტის პირველ დღეს ადგილზე იმყოფებოდა ორი ადამიანი, დამოუკიდებლად მყოფი მომუშავე ექსპერტების გარდა. საბუთები იყო სხვადასხვა ოთახში და მეორე დღეს იქნა ნაპოვნი ბრძანება, რომელიც, როგორც ექსპერტებმა დაადასტურეს, გატარებული იყო რეესტრში შესაბამისი წესით.
- დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ერთ-ერთ სტუდენტის პირადი საქმე და ერთ-ერთი სტუდენტის განცხადება, რომლითაც ითხოვდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, რომელიც თარიღდება 2016 წლის 19 მაისით. - რექტორმა თქვა, რომ განცხადება სტატუსის შეწყვეტის თაობაზე მხოლოდ ტყუპი დების მიერ იქნა შეტანილი.
- უცხოენოვან პროგრამებზე უწყისების არ არსებობასთან დაკავშირებით რექტორმა დაუდასტურა რომ ვერ იარსებებდა, რადგან 2016 წლის 2 თებერვლის ბრძანებით არიან ისინი ჩარიცხული, ხოლო 22 აპრილს საბუთების გატანის განცხადებით მიმართეს აკადემიას. მიუხედავად იმისა, რომ სტატუსი ამ დროისათვის ოფიციალურად არ შეწყვეტიათ, აღნიშნული თარიღიდან ისინი აღარ მონაწილეობენ სასწავლო პროცესში. ხოლო ჩარიცხვიდან ამ დრომდე მათ არც შუალედური და მით უფრო არც ფინალური გამოცდა არ ჰქონდათ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული.
- დებულებით არაა განსაზღვრული, რა შემთხვევებში უქმდება პროგრამა. აკადემიის რექტორს არ მიაჩნია, რომ პროგრამის გაუქმება დაწესებულების პრეროგატივაა, რაც დაადასტურა საბჭოს სხდომაზე.
- დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მასწავლებლების და სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარი. აკადემიის რექტორმა დაადასტურა, რომ არსებობს კითხვარების დამტკიცებული ფორმები, თუმცა არ მომხდარა მათი შევსება, რადგან სასწავლო პროცესი არაა დასრულებული.

თავმჯდომარე დაინტერესდა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას განთავისუფლდა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი თანამდებობიდან, თუ სასწავლო პროცესის შეჩერების შემდეგ. ნანა ჯიქიამ დაადასტურა რომ სასწავლო პროცესის შეჩერებამდე მოხდა მისი განთავისუფლება. აქვე დაადასტურა პირველ მარტამდე ადმინისტრაციული პერსონალის განთავისუფლება.

- წარმოადგინა ფართის აზომვითი ნახაზი. დაადასტურა, რომ დარბაზიდან მისი სარგებლობის უფლების მქონე ნაწილის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, თუმცა სასწავლო პროცესის განსახორციელებლად გამოყოფილი 9 აუდიტორიის იდენტიფიცირება ცალსახაა.
- სველი წერტილები არ იყო სრულფასოვნად გამართული, შენობაში არ იყო დამონტაჟებული გათბობის სისტემა და არ წარმოუდგენიათ დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც დასტურდება 2017 წლის 1 მარტისთვის გამართავდა და გამოიყენებდა. მისი მტკიცებით, სველი წერტილები გამართულია, მათ შორის ეტლით მოსარგებლე პირთათვის. რადგან ფართი მდებარეობს შენობის მეთორმეტე

სართულზე და ლიფტი მხოლოდ მერვე სართულამდე ფუნქციონირებდა, დაწესებულებამ ხარჯი გაიღო ლიფტით მეთორმეტე სართულის უზრუნველსაყოფად.

- დაადასტურა, რომ ბიბლიოთეკარი განთავისუფლებული იქნა თანამდებობიდან. რის გამოც ექსპერტებმა ვერ მოახერხეს სრულყოფილად ბიბლიოთეკის შემოწმება. აქვე აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა სრულად მოწესრიგებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით.
- ექსპერტები ვიზიტის დროს განთავსებული იყვნენ დაწესებულების არაკუთვნილ ფართზე, რაც დაადასტურა რექტორმა და კუთვნილ ფართზე სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობით ახსნა აღნიშნული. დაადასტურა, რომ ჟურნალისტთა კავშირის კუთვნილი ფართით დროებით სარგებლობდნენ პირველ მარტამდე.
- ინტერნეტით სარგებლობის უფლების ხელშეკრულება გაფორმდა ვიზიტის შემდეგ. ვიზიტის დროს დამონტაჟება უკვე მიმდინარეობდა.
- ევაკუაციის გეგმასთან დაკავშირებით განმარტა, რომ წერილი გაგზავნილი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროში.

რექტორმა განმარტა, რომ გრძელვადიანი ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მომზადება ვერ მოხერხდა ზემოთ ხსენებული ხელისშემშლელი ფაქტორების გამო. რექტორმა ვიზიტის შემდეგ მომზადებული გრძელვადიანი ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები წარუდგინა საბჭოს. მამია ჯანჯალიამ დასძინა, რომ სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას სჭირდება ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა, რომელიც დაწესებულებას არ ჰყავს. მაია ჩიხლაძე დაინტერესდა ამ დროისათვის რამდენი პიროვნება ფიქსირდებოდა ადმინისტრაციულ პერსონალში. რექტორმა უპასუხა რომ აკადემიას ჰყავს საქმისწარმოების მენეჯერი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. რექტორმა აქვე განმარტა, რომ რემონტის ხარჯების გამო ვერ მოახერხა ადმინისტრაციული პერსონალის აყვანა. განაცხადა, რომ უახლოეს ერთ კვირაში გეგმავდა კონკურსის გამოცხადებას და კადრების აყვანას.

ბოლოს განაცხადა, რომ მოხარული იქნებოდა თუ მიეცემოდა ხარვეზების გამოსასწორებლად გარკვეული პერიოდი, შემდგომი მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების პირობით.

ნანა ჯიქიას განმარტებებზე ექსპერტებმა გააკეთეს კომენტარები:

- პრაქტიკის ობიექტთან, ავერსის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება უკვე ვადაგასულია და ძალადაკარგულია უკვე ერთი წელია.
- დასკვნას თან ახლავს დანართის სახით არასრულწლოვან სტუდენტთან დადებული ხელშეკრულება.
- დასტურდება ისეთი სტუდენტების ჩარიცხვაც, რომელებიც მითითებულ ოქმში არ არიან მოხსენიებულნი.
- შრომითი კონტრაქტი დადებულია 11 ან მეტი თვის მანძილზე. შესაბამისად დგება კუთვნილი ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი შვებულების მიცემის ვალდებულება, ზეგანაკვეთური ანაზღაურების რეგულირება, რაც უნდა იყოს გაწერილი ხელშეკრულებაში ან/და შინაგანაწესში და შესაბამისად უნდა ფიქსირდებოდეს აღნიშნულ წესთან გაცნობის დადასტურება.
- მოქმედი ხელშეკრულებები ფიქსირდება მხოლოდ აკადემიურ პერსონალთან. ექსპერტებმა გამოთქვეს პროგრამის განმახორციელებელთან ინტერვიუირების სურვილი, რაზეც რექტორისგან მიიღეს განმარტება, რომ ვერ მოახერხებდა სამსახურებრივი დატვირთვიდან გამომდინარე.

ექსპერტებმა პირადი საქმიდან მოიძიეს საკონტაქტო ინფორმაცია და თავად დაუკავშირდნენ ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელს, იმედა გუგაშვილს, რომელმაც დაადასტურა, რომ თუ საჭიროება იდგა ის მოახერხებდა მისვლას, მაგრამ მას არავინ დაკავშირებია. მისი განცხადებით, პროგრამის დამატების შემდეგ მას კავშირი არ ჰქონია ამ პროგრამის განხორციელებასთან. გასაუბრება მოხდა ინგლისური ენის პედაგოგთან, რომელმაც დაადასტურა, რომ საწყის ეტაპზე იმყოფებოდა დაწესებულებასთან შრომით ურთიერთობაში, თუმცა მალევე შეწყდა. ბიოლოგიის მასწავლებლის განცხადებით ოთხი თვის განმავლობაში ხდებოდა სასწავლო პროცესის განხორციელება, რის შემდეგაც მას აღარ ჰქონია შეხება დაწესებულებასთან.

- ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით განმარტეს, რომ არ არსებობდა პანდუსები ლიფტამდე მისასვლელად და არც სართულებს შორის კიბეებზე. თუმცა ვიზიტის დროს, ექსპერტებმა იხილეს ეტლით მოსარგებლე პირი მესამე სართულზე, იქ სადაც ექსპერტები იმყოფებოდნენ. რექტორმა განმარტა, რომ ის ხელით აიყვანეს სხვა მოსწავლეებმა. აღნიშნა, რომ ის ფართი არ ეკუთვნოდა მის დაწესებულებას და ამიტომაც არაა პასუხისმგებელი აღნიშნულთან დაკავშირებით. ექსპერტებმა შენიშნეს, ლიფტის თუნდაც გამართული მდგომარეობის დროს, ლიფტამდე მისასვლელად არ არსებობდა პანდუსები.

შორენა ჯაფარიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია მიიღო 2013 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა ხელმძღვანელობამ ის 2015 წელს ჩაიბარა, იგი სამართალმემკვიდრეა მისი და ვალდებულია განახორციელოს მასზე ნაკისრი ვალდებულებები. აქვე აღნიშნა, რომ მართალია უწყისები უნდა ინახებოდეს მუდამ, მაგრამ მინიმუმ 5 წელი მაინც უნდა ინახებოდეს სტუდენტთა ნამუშევრები, კითხვარები და ა. შ. ანუ მინიმუმ 2018 წლამდე. რასაც დაწესებულება არ ასრულებს.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების სტანდარტებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს გონივრული (არაუმეტეს 15 დღისა) ვადა შესაბამისი პირობების გამოსასწორებლად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. ამ შემთხვევაში დასკვნაში არსებული ხარვეზების რაოდენობის და ხასიათის გათვალისწინებით აშკარაა, რომ მათი გამოსწორება 15 დღის ვადაში შეუძლებელია და უკვე ცალკეულ შემთხვევებში დადგა სამართლებრივი შედეგი, რომელთა გამოსწორებაც შეუძლებელია.

თავმჯდომარემ აქვე მოიხსენია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის 11 პუნქტი, რომლის თანახმადაც ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ, გარდა ამ მუხლის 11^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომელიც ითვალისწინებს ავტორიზებული დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შემთხვევაში საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილია განიხილოს ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შექმნილი დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის სტანდარტის დაკმაყოფილების შესახებ. წარმოდგენილ დოკუმენტს საბჭო მხედველობაში იღებს იმ შემთხვევაში, თუ სტანდარტის დაკმაყოფილების დადასტურება შესაძლებელია ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის განხორციელების გარეშე და აღნიშნული დოკუმენტი ადასტურებს ექსპერტთა ვიზიტის

დამთავრებამდე დაწყებული პროცესის დასრულებას, რაც ასახულია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და/ან ცენტრში წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით აღმაშენებლის აკადემიისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს დავით აღმაშენებლის აკადემიას (ს/კ: 406069169) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 19:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ირაკლი ბაიდაშვილი